

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12 1984 წელი, მუხ. 421) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. კანონი, რომელიც აწესებს ან ამკაცრებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. კანონს, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე, შეიძლება ჰქონდეს უკუძალა უშუალოდ ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. თუ ახალი კანონი ამსუბუქებს ადმინისტრაციულ სახდელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამრღვევს დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ეს სახდელი შეიძლება შემცირდეს ამ ახალი კანონის სანქციის ფარგლებში უშუალოდ ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.